სახალხო გაზეთი

№ 565 ოთხშაბათი, 4 აპრილი, 1912 წ. № 565

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაკვასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დამბეჭდავ პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კაკვასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაიბეჭდავენ-მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ეძლევა; ძველნი ერთადთვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქ. ო. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 5 აპრილს, ცნობილი

ქართველი მგოსნის ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის

დაბადებიდან ასის წლის თავზე, სიონის ტაძარში, ნაშუადღევის 1 საათზე, გადახდილი იქნება ჰანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

(2—1188—1)

გულმოკლული დედა ეკატერინე, მეუღლე მარიამი, ძმები: გიგო, დათიკო, იოსები და სონა, რძალი ბარბარე ქვლივიძენი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სარატოვის კატორღის ციხეში გარდაიცვალა 13 მარტს (შევიტყვეთ მხოლოდ 31 მარტს მისის ამხანაგისაგან)

ილია (ზაქარია) ივანეს ძე ქვლივიძე.

ჰანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად დანიშნულია კალოუბნის ეკლესიაში, წირვის შემდეგ ხუთშაბათს, 5 აპრილს. წირვა დაიწყება 9 საათზე. (1.342.1)

ხონის საოსტატო სემინარიის საღვთო სჯულის მასწავლებელი

მღვდელი სპირიდონ გორდულაძე

გარდაიცვალა, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ სიდედრი მისი **ფონიკო გრიგოლის ასული და ცოლის ძმა რაჟდენ ნიკოლოზის ძე წივწივაძე.** დაკრძალვა ხუთშაბათს, აპრილის 5-ს, მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. (1.345.1)

1 ამა აპრილს, ღამით, გარდაიცვალა

მიხეილ გიორგის ძე თუხარელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ განსვენებულის მეუღლე **ელენე სოლომონის ასული თუხარელისა, ძმა განსვენებულისა სიმონ გიორგის ძე თუხარელი,** ცოლის და **ელისაბედ სოლომონის ასული ვარდანოვისა** და ცოლის ძმა **ნიკოლოზ სოლომონის ძე ვარდანოვი.**

ჰანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს, 5 აპრილს, რეუტოვის ქუჩიდან № 11, ათ საათზე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1.346.1).

ქ. ო. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართველი მწერლების მოთხრობანი:

არაგვისპირელი I	50 კ.
„ II	40 „
„ III	40 „
„ შიო თავაფი .	60 „
არდაზიანი. მეჯღანუაშვილი. .	50 „
გაბაშვილისა ეკ.	1—20 „
დუტუ მეგრელი II	70 „
ერისთავი დ. ვისი ბრალია?	20 „
ია ეკალაძე. მოთხრობები. .	1
კლდიაშვილი დ. I . . .	75 „
„ II . . .	75 „
ლარიძე. დილარიანი. . .	2—
მალაქია შაკილი. შოთა ბროლიძე.	80 „
მგალობლიშვილი. მეველე, თ-დი ირონიძე, მთიული სოსე.	30 „
მაჩხანელი. სოფლის კუნწულა	20 „
ნინოშვილი ე.	1—50 „
ფურცელაძე ა. ქიტესა . .	15 „
„ მაცი ხვიტია .	50 „
„ ასული ისრაელისა .	30 „
„ ჩვენებური საქმის ბოლო.	20 „
„ ბრძოლა... ანუ გ. სააკაძე და მისი დრო. . .	1—
ფრონელი ა. მთიულეთი. .	40 „
„ კახეთის ამბოხება.	60 „
ყაზბეგი. სრული თხზულებ.	3—50 „
ყიფიანი ს. წვრილი მოთხრ.	50 „
შიუკაშვილი. განგება ღვთისა	15 „
ჩარხიშვილი. ცხოვრებ. დ სიყვ.	40 „
„ ვარინკას ამბავი .	15 „
ცაგარელი. გიორგი, მიხეილ!	10 „
წერეთელი გ. I	60 „
„ II	60 „
„ III	70 „
წერეთელი აკაკი. ჩემი თავგადას.	1 მ.
ჰავქ. ი. გლახის ნაამბობი, კაცია ადამიანი?! ოთარაანთ ქვირივი, სახრჩობელაზე, მგზავრის წერილები, ნიკოლოზ გოსტაშაბი შვილი, უცნაურ. ამბ.	77 „
ხუსკივ. თ. თხუზულებანი . . .	30 „
„ ეკატ. ბატონიშვილი .	5 „
„ ლევან ბატონიშვილი.	10 „
ხევისუბნელი. ცხენის წურბელა	15 „

ბე უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—18)

გამოვიდა და იყიდება
ქართ. ო. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
„ბრდღვლი"
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.47)

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები** და **ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩვეთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაბეჭდილ-ბა 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორლანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის სახ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სილნალში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრედვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისთვის): Тифлисъ. Корганоская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საგზო

აცხადებს, რომ ვადა „გრდღვლის" მე-II წიგნისთვის მასალების წარმოდგენისა, თანახმად ზოგიერთ მწერლების მიერ გამოთქმულ სურვილისა, გაგრძელებულია 30 აპრილამდე.

მისამართი მასალების გამოსაგზავნად: **ტფილისი, ოლგის შესახვევი № 5, გ. ს. რცხილაძეს.** (6.1185.2)

ძმ. ზუბალაშვილების სახელოზის სახ. სახლი.
ხუთშაბათს, 5 აპრილს.

გ. სუნდუკიანცის ხლოვნის პატივსაცემლად

ბენეფისი 3 მოქედებად გ. სუნდუკიანცისა. 2) **საღამოს ერთი ცხვირი ხეირია,** კომედია ერთ მოქმედებად მისივე.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ანტუანეტა, ბეჟანოვა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, მ. ქართველიშვილი; ბ-ნნი: ანაშვილი, ნ. გოცირიძე, შ. ხოხელი, ს. ჰეკანოვი, გაძყრელიძე, გელიკურაშვილი, სალაყაია, რომანიშვილი და სხ. **დასაწყ. საღ. სწორედ 8 ს.** ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილ. იყიდ. თეატ. კასაში დილ. 12—2 ს. საღ. 8 ს. შემდეგი წარმოდგ. 10 აპრ. (2.1174.1) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ადმინისტრატორი **ს. ჯუღელი.**

ელექტრონისა და რენტგენის კაბინეტი

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—23).

1912 წ. 22 მარტს, ქუთაისიდან-ყვირილამდე

მატარებელში დავკარგე

სერი მატერიის პორტფელი, სხვა და სხვა საბუთებით. მპოვნელს ვთხოვ ეს პორტფელი თავის საბუთებით გამომიგზავნოს ფოსტით ან პირადად, რისთვისაც მიიღებს საჩუქრად 5 მანეთს. მისამართი: **დაბა ყვირილა, გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძე.** (2.1186.2)

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა ვ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—62)

ქართული თეატრი

4 აპრილს **ასირიულ** (აისორიულ) ენაზე წარმოდგენილ იქნება:

ხმათა ქარუფთა (**ანჩხლი დედამთილი**), კომედია 1 მოქმედებად **იოსებ ბით-ბეჯანისა.**

მონაწილეობს მთელი დასი, სოლომონ კირიანოვის ხელმძღვანელობით. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყისი საღ. 8½ ს.** (1.341.1)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. ₾ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები".

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.11)

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

ე. ი. ჭავჭანიძისა

და ი. ი. გველესიანის

წვრილად გასაყიდ ბანუოფილებაში

გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქოვისა № 34.

კვირაცხოვლობის კვირაში ფოტინოგას

2 აპრილიდან 7 აპრილამდე დანიშნულია დიდი ვაჭრობა, საზღაპრო იაფ-ფასად გაიყიდება მოდური სასამკაულო საქონელი:

მზა-მზარეული თეთრეული ქალებისა და კაცებისა, ქოლგები, შეკერილი კოფთები აბრეშუმისა და კრუქევისა, აბრეშუმის იუბკები, ჩულქეულობა, მამაკაცებისა და ბავშვების ყველანაირი ქუდები, კრაბლის პერანგები, გალსტუხები და აუარებელი სხვა ახალ-ახალი საქონელი.

ყველა საქონელს გადაჭრილი უკანასკნელი ფასები ზედ აწერია. (5.537.4)

ქუთაისში

● ახალ ჟურნალულ-ავეჯეულობის მაღაზიაში ●

ფ. ს. ფილიპოვისა

ალექსანდროვ.ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის" გვერდით.

საზოგადოების სურვილით

ბრძოლდება იაფ-ფასიანი ვაჭრობა

აპრილის დამლევამდე. ფასები ნაღდად და შეუვაჭრებლად.

(25.1187.1) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპოვი.**

ქუთაისში **ქუთაისში**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.: **ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **ბალაბაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

საშინაო-სადოსტ. ავადმყ. (ქირურგ.): **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

საშობიარო-ოფლ. ქალ. (ქირურგ.) ოფლ.: ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

ბავშვების ავადმყ.: **ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვ. ავად.: **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

ყურ. ყელ. ცხვ.: **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

ენ. ვენ.: **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

კან. ვენ.: **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass-rman. რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კანსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „**ნ ი ნ**" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტროენით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—307)

**ექიმ-ოკულისტ. ბ. ბ. ბ

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.7)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—132).

ექიმი **ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი** სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—7)

ექიმი **პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.83).

ტ ფ ი ლ ი ს ი, 4 ა პ რ ი ლ ი

ირლანდიის ავტონომია.

შესანიშნავი ხანა დგება ირლანდიისთვის. დიდი ხანია იგი იბრძვის ისეთი წეს-წყობილებისთვის, რომელიც საშუალებას მისცემს თავისუფლად განავითაროს თავისი ეროვნული ცხოვრება, წინ წასწიოს სულიერი და მატერიალური კულტურა. საზოგადოდ ინგლისში ფართოდაა განვითარებული დეცენტრალისტური ტენდენციები. ამას შესამჩნევად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ინგლისის ახალშენები მთელი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებშია გაფანტული მოუხეშავ ძალის შემწეობით, დაშინებით, შევიწროვებით შეუძლებელია შეკავშირება ტერიტორიალურად დაშორებულ ახალ-შენებისა. ამიტომ ინგლისი თავიდანვე იძულებული იყო გამოენახა ისეთი ფორმა სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებისა, რომელიც ერთის მხრით მის მრავალ-ფეროვან ახალ-შენებს დააკმაყოფილებდა და მეორის მხრით კი განამტკიცებდა სახელმწიფოს მთლიანობასა და სიძლიერეს. ასეთი ფორმა კი არის ავტონომიური მმართველობა ახალ-შენებისა. მხოლოდ ფართო თვით-მმართველობის ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მტკიცე და დაურღვეველი კავშირი ახალ-შენებსა და ინგლისს შორის ეს კარგად იცოდნენ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა და ამიტომ აკი კიდეც ანხორციელებდნენ ავტონომიურ თვითმმართველობას! მაგრამ მარტო, ასე ვსთქვათ, სახელმწიფოებრივი ეგოიზმი არ აიძულებდა ინგლისს ახალ-შენებისთვის ავტონომიური წეს-წყობილება მიენიჭებინა. რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო სურვილი სახელმწიფოს მთლიანობის დაცვისა, მაინც დეცენტრალისტურ აზრების გავრცელებას ინგლისში მარტო ამ სურვილს ვერ მივაწერთ.

უფლებრივი შეგნება არსად არ არის განვითარებული ისე ძალიან, როგორც ინგლისში. თავისუფლება პიროვნებისა იქ პრობლემა კი არ არის, არამედ ას წლოვან ისტორიაში გაკაჟებული ფაქტი. პოლიტიკურად პიროვნება სრულიად განთავისუფლებულია. უფლება ინგლისელის ბუნებაა. ასეთს ნიადაგზე აღზრდილ ინგლისელს, რა თქმა უნდა, ვერ შეუძლიან თავის ახალ-შენებს მტერსავით უცქიროს, ან კანონის გარეშე გამოაცხადოს და უკიდურეს ექსპლოატაციის საგნად გაიხადოს. ინგლისში არ არსებობს პოლიტიკა გაინგლისელებისა, ვინაიდან იგი თავისუფალი ქვეყანაა. ამიტომ ინგლისელები ადვილად ითვისებენ იმ აზრს, რომ ყველა ერს შეუძლიან თავისი შინაური ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც ეს მისთვის სასარგებლოა. არავითარი კონფლიქტი ცენტრსა და ახალ-შენებთა შორის არ იბადება. იმპერიალისტურმა ინგლისმა დაიპყრო აფრიკის ქვეყნები, მოსპო დამოუკიდებელი არსებობა ბურებისა, მაგრამ თავისუფალმა ინგლისმა ახლად დაპყრობილ ახალშენში დააწესა ავტონომიური წეს-წყობილება და შეჰქმნა სამხრეთ აფრიკის ახალ-შენთა ფედერაცია. ამით სამუდამოდ მოსპო წყარო უკმაყოფილებისა და კონფლიქტისა. რა თქმა უნდა, ვერც ინგლისს შეუძლიან უკიდურესობამდე განავითაროს დეცენტრალისტური პრინციპები, რაც უნდა იყოს, ინგლისიც თანამედროვე სახელმწიფოა. იმპერიალიზმი ინგლისში დაიბადა, დღესაც ძლიერი ფესვები აქვს გადგმული. იმპერიალისტურ სახელმწიფოს კი ვერ შეუძლიან დღესვე განახორციელოს დეცენტრალისტური აზრები ისე, როგორც ამას აბსოლუტური სამართლიანობა მოითხოვს. მაგრამ ინგლისი მაინც, ჯერ-ჯერობით, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ამ გზას ადგია და ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად გაჰყავს ცხოვრებაში პრინციპები ფართო თვითმმართველობისა.

ირლანდიაც, უეჭველია, აქამდის მიიღებდა ავტონომიას, იგი განსაკუთრებულ სოციალურ განწყობილებაში რომ არა ყოფილიყო ინგლისთან. ინგლისის ლორდებისთვის ხელ-საყრელი არ იყო ირლანდიის ავტონომიის განხორციელება, და ამიტომ ყოველთვის ებრძოდნენ მას. ბევრი იბრძოლა გლადსტონმა, ბევრი იბრძოლა მის შემდეგ ინგლისის ლიბერალურმა მთავრობამ, მაგრამ ლორდების სიჯიუტე მაინც ვერა სძლია. ლორდთა პალატა თავის „ვეტო“-ს უფლებით სარგებლობდა და ჰკლავდა ირლანდიის ავტონომიას.

დღეს გარემოება შეცვლილია. ლორდთა პალატის უფლება შეზღუდულია. დემოკრატიულმა ინგლისმა დაინახა, რომ ლორდთა პალატა ხელს უშლის არა მარტო ირლანდიის ავტონომიის განხორციელებას, არამედ მრავალ სხვა დემოკრატიულ რეფორმასაც. დიდი კრიზისი განიცადა ინგლისმა ამ მოკლე ხანში, მაგრამ ლიბერალებმა მაინც გაიმარჯვეს და ლორდთა პალატის უფლებები შეზღუდეს. ამით ირლანდიის ავტონომიასაც ერთი უდიდესი დაბრკოლება ჩამოშორდა.

ამ ჟამად ინგლისის პარლამენტში შეიტანეს კანონ-პროექტი ირლანდიის ავტონომიის შესახებ. კამათი სწარმოებს. რა თქმა უნდა, ირლანდიის ავტონომიას ინგლისის პარლამენტშიაცა ჰყავს მოწინააღმდეგენი, მაგრამ მაინც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი განხორციელების გზას ადგია. შეიძლება წვრილმან საკითხებში ბევრნაირი უთანხმოება დაიბადოს, მაგრამ ირლანდია რომ მალე ავტონომიას მიიღებს და თავის საკუთარ ცხოვრებას ისე მოაწყობს, როგორც თითონა ჰსურს, ამაში ეჭვი აღარ უნდა შევიტანოთ.

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

აკიმოვი თავმჯდომარეობდა

საბჭომ მიიღო 38 წვრილმანი კანონპროექტი. სხვათა შორის სემირეჩინსკისა და ბაიკალს იქითა მხრის კაზაკთა ჯარის დასახმარებლად ფულის გადადებისა და სურვილი, გამოსთქვა რომ მთავრობამ იზრუნოს კაზაკთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

საბჭომ განიხილა საფინანსო კომისიის მოხსენება და მოხსენება საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიისა სტავროპოლისა, ასტრახანისა და ორენბურგის გუბერნიებში ერობის შემოღების თაობაზე.

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის თავმჯდომარემ **მანუხინმა** განაცხადა, საჭიროა მთავრობის პროექტის აღდგენა, რომელიც სათათბიროს შეუცვლიაო.

ზინოვიოვი. კანონ-პროექტი საკმაოდ ვერ არის დამუშავებული, საჭიროა უკან დაუბრუნოთ კომისიას.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ხარუზინი წინააღმდეგია პროექტის უკან დაბრუნებისა. მისის აზრით, კანონპროექტი საკმაოდ არის დამუშავებული.

გრიმი. კომისიას მთავრობის კანონ-პროექტი აღუდგენია, მსხვილ მემამულეებისათვის ზრუნავს, ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებას და ყოველგვარ რეფორმისა ეშინიანო.

სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტეს. სხდომის განახლებისას საბჭომ სამივე კანონ-პროექტი მიიღო, ასტრახნისა, ორენბურგისა და სტავროპოლის გუბერნიებში ერობის შემოღების. კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით მიიღეს. ზინოვიევის, გრიმისა და კამენსკის შესწორებანი უარჰყვეს. პროექტები შემთანხმებელ კომისიას გადასცეს.

შემდეგი სხდომა 4 აპრილს მოხდება.

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ა ვ ი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ კავკასიის ნამესტნიკმა **თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ქალაქის მოურავის მოადგილედ** დაამტკიცა, თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევისა.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პ. ნ. მილიუკოვი** ბაქოდან ტფილისში დღეს ჩამოვა. ტფილისში ორ ლექციის წაკითხვას აპირობს.

✦ **ფრინველთა გამოფენა,** რომელიც 27 მარტს გაიხსნა, 1 აპრილს დაიხურა. გამოფენა 3500 კაცმა დაათვალიერა.

✦ **წყალ-სადენი.** დღეს ქალაქის გამგეობა გამოიანგარიშებს იმ ხარჯებს, რომელიც საჭიროა ქალაქის წყალსადენში წყალის მოსამატებლად და ამ წყალის ღირსების გასაუმჯობესებლად.

✦ **საქონლის სადგური** მოკლე ხანში ნავთლუხში იქნება გადატანილი.

✦ **გ. ი. მუსელიუსი,** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში გაემგზავრა.

✦ **რედაქციამ მიიღო** სერგო ბეპანოვის 4 მოქმედებიანი დრამა „ამხანაგები“. წიგნი საშუალო ზომისაა, 92 გვერდს შეიცავს და ხუთ შაურად ღირს.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** 2 აპრილს, დილით, ელისაბედისა და კიროჩნი ქუჩების კუთხეში მდებარე სახლის № 90/30 სახურავზე თავი ჩამოიხრჩო სარეცხისთვის გაბმულ თოკზე ამავე სახლის მეეზოვემ სტანისლავ ივანეს ძე პაზუკასმა, რომელიც 55 წლისა იყო. მიცვალებული მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში წაასვენეს. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, პეტერბურგში გაჰგზავნოს **ცეცხლის მქრობელ რაზმების წარმომადგენელთა კონგრესზე** დასასწრებლად ტფ. ცეცხლის მქრობელ რაზმის ბრანდმეისტერი კალმიკოვი. გზის ხარჯად 200 მან. დაუნიშნა.

✦ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც **ქალაქის გამგეობის წევრებად** არჩეულ იქმნენ თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და მ. ნ. ათაბეგოვი.

✦ 24 მარტს სალდათის ბაზარში აფიცერმა ლარეონოვმა **მოქმედებით შეურაცხყო** ქალაქის ბეითალი ექიმი ოგაჯანოვი, რომელიც თავის სამსახურს ასრულებდა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს ამბავი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს აცნობოს და სთხოვოს, საქმე დაწვრილებით გამოიძიოს და კანონიერი მსვლელობა მისცეს.

✦ **უეცრივ გარდაცვალება.** 2 აპრილს ციხიდან სასამართლოში პოლიციელებს ტუსაღები მიჰყავდათ. როდესაც შუა ბაზარში მივიდნენ, ერთი პოლიციელი სტეფანე ნიკიფორეს ძე ბელენკი უეცრივ ავადგახდა, გონება დაჰკარგა და წაიქცა. ავადმყოფი ჩქარის მაშველებელ ეტლით მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გონს ვეღარ მოვიდა და ჩქარა გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **დაკარგული მოსწავლენი.** ამ დღეებში უკვალოდ დაიკარგნენ აკოფ ტერ-აირაპეტოვი და გალუსტ ბათიევი. ორივე სომეხთა ნერსესიან სემინარიის მოსწავლეა. პოლიცმეისტერმა ზომები მიიღო დაკარგულთა მოსაძებნად.

✦ 2 აპრილს ტფილისში 48 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ უკვალოდ დაიკარგა ზაქათალის ოლქის სოფელ კახის მცხოვრები ნაზარ ევეტისას ძე გიულნაზარიანცი.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 2 აპრილს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. საბჭომ მიიღო ხმოსნის დ. ვ. ბეზობრაზოვის განცხადება, რომლითაც უკანასკნელი საფინანსო კომისიის წევრობას თავს ანებებს. ქალაქის გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს საბჭომ ერთხმოვნულად 400 მან. ქონება ქალაქის ხარჯებიდან დასაფარავად, რომელიც მან მოსდის უძრავ-ქონებათა ადგილ-შეფასების გამო აღძრულ საჩივრების შემოწმების დროს, საბჭომ მიიღო ხმოსნის ა. ი. მიტკევიჩის შემდეგი წინადადება: საუღელტეხილო გზის საკითხის სასურველად დაგვირგვინებისათვის საბჭოს დეპუტაციის საშუალებით მადლობა ეთქვას კავკასიის ნამესტნიკსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს. ამასთანავე ეთხოვოს ნამესტნიკს, რომ ხელმწიფე იმპერატორს გადასცეს ტფილისის ქალაქის საბჭოს უქვეშევრდომილესი გრძნობები. დასასრულ საბჭომ განიხილა ქალაქის სპეციალურ თანხმების ხარჯთ-აღრიცხვა და დაადგინა, წინადადება მისცეს გამგეობას, ახალი ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრება დღეს მოხდება.

სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** ყარსსა და ერევანს გამგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორს გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად.

სასწავლებლებში.

✦ უწმ. სინოდმა ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორს **სასულიერო სემინარიების რეფორმების პროექტი** გამოუგზავნა. ამ პროექტით ახლანდელი ექვს-კლასიანი სასულიერო სემინაიები ოთხ-კლასიანებად უნდა იქნეს გადაკეთებული.

✦ **რეფორმები სასულიერო სასწავლებლებში.** მოკლე ხანში ტფილისში მოხდება სასულიერო სასწავლებლების მეთვალყურეების კრება საშუალო სასულიერო სასწავლებლებში რეფორმების მოხდენის თაობაზე. განზრახულია საშუალო სასწავლებლები ექვს-კლასიან პროგიმნაზიად გადაქცევა. კრების თავმჯდომარედ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი იქნება.

სომეხთა ცხოვრება.

✦ **კარა-მურზას გარდაცვალების 10 წლის თავზე,** აპრილის შუა რიცხვებში, ქ. ღარასუბაზარში (ყირიმი, სადაც განსვენებული დაიბადა) გაიმართება კონცერტი სომეხ-კათოლიკეთა ადგილობრივ სკოლის დარბაზში. მომღერალთა გუნდში მონაწილეობას მიიღებენ სომეხი-კათოლიკოსაგან, რომელიც ხშირად გმირებს უხორცო ჩონჩხად და მშრალ ტენდენციად გადააქცევს.

დ. მეგრელმა კი, ჩვენის აზრით, ვერ დაიცვა მხატვრობრივი ზომიერება და მშვენიერი სახე ფეჩეიასი, მისი სამაგალითო მოღვაწეობის აღწერით, შესამჩნევად დაჩრდილა, სიცოცხლე წაართო. „ბევრ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილისთვის გაუღვიძებია (ფეჩეიას) გულში იმედი და ბევრ ურწმუნოსათვის რწმენა აღუძრავს თვისის გრძნობით სავსე სიტყვებით და თავ-დაუზოგველის მოქმედებით“. ეს სიტყვები თავის თავად ლამაზი და დიდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ფეჩეიას იდეალურ სახის დასახატავად ნახმარნი კი ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს, რაც სენტენციას და შაბლონურ მორალის ქადაგებას მოგვაგონებს.

მაინც რაც გინდა იყოს, დ. მეგრელი მადლობის ღირსია, რომ მან შეძლებისადაგვარად მოინდომა ქართველი ქალის სრული და იდეალურ ტიპის დახატვა. რასაკვირველია, ის იდეალიზაციას ვერ ასცდა, მაგრამ მისი ფეჩეია საყურადღებო და შინაარსიან მასალად მაინც გამოადგება ჩვენს მომავალს დიდს ბელეტრისტს ქართველ ქალის ნამდვილ და სრული ტიპის შექმნის დროს. ასეთს დიდს ბელეტრისტს ჩვენ მოველით... და დროც არის მოგვეველინოს! მასალა თითქმის დაჭზადებულია; ხალხის მისწრაფება და იდეალი ირკვევა; სასიკვდილო ელემენტი ცხოვრებას ესალმება, კვდება; სასიცოცხლო კი თან და თან იზრდება. განახლების, გათვითცნობიერების სიომ დაჰბერა და ჩვენი ცხოვრების წყვდიადი და სიბნელე მზის მაცოცხლებელმა შუქმა გასჭრა, გაანათა. ასეთი მოვლენა ერის ცხოვრებაში ლიტერატურაშიაც უნდა აღიბეჭდოს.

პატარა მოთხრობა **„ბალში“** დ. მეგრელი აღგვიწერს უკუღმართ პირობებში აღზრდილ თანამედროვე ქართველ ქალის ტიპს.—თამრომ (გმირი მოთხრობისა) ეს-ეს არის „კურსი“ დაამთავრა და ცოლად გაჰყვა თავის სათაყვანებელ სერგოს. ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვართ და ბედნიერადაც გრძნობენ თავს. მაგრამ, სამწუხაროდ, სერგო მალე მძიმედ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. სწავლის დამთავრების შემდეგ თამრო ქმრით სულ სოფლად ცხოვრობდა. ამისათვის წელს მაინც უნდოდა წასულიყო ქალაქში „ბალზე“ დასასწრებად. „თამრო დიდი ხანია მოუთმენლად მოელოდა ხვალინდელ დღეს, როცა პირველად უნდა დასწრებოდა „ბალს“ და წინდაწინვე აღეტაცებინა იმ სანატრო გრძნობას, რომლითაც გაიმსჭვალებოდა, როცა თავის საყვარელ სერგოსთან ერთად შევიდოდა გაჩაღებულ დარბაზში და ყველას ყურადღებას მიიქცევდა. თამარა ლამაზი იყო და ჯერ არ გამოეცადა თვისი სილამაზის ძლიერება დიდ საზოგადოებაზე. ხვალ უნდა მოეხდინა ეს გამოცდა და აი სწორედ ამ დროს გახდა სერგო ავად“ (გვ. 123)

როცა ერთხელ თამრომ უთხრა ქმარს „ბალის“ შესახებ, ავადმყოფმა სერგომ მთელი თვისი მჭერმეტყველება იხმარა, რომ საზიზღრად ღალატა თანამედროვე დროს გატარება კერძოდ-ცეკვა. თამრომ გაიგო, რასაკვირველია, რომ სერგოს სულით და გულით ეზიზღება „ბალ-ვეჩერები“, „ტანცი-მანცია“ და იცოდა, რომ წასულიყო, თვის საყვარელ სერგოს ძლიერ აწყენინებდა. მეგრელმა თამრომ თვისი გატაცებული სურვილი მაინც ვერ დასძლია: სერგოს მამიდის დახმარებით მან მაინც მოახერხა ქალაქში წასვლა... თამროს ასეთმა საქციელმა ისე იმოქმედა სერგოზე, რომ იმავე ღამეს გარდაიცვალა.

ამ მოთხრობაში ავტორს მსჯელობა და თითქმის „დისპუტი“ რომ არ გაემართა ცოლ-ქმარს შუა თანამედროვე დროს გატარების და უწინდელ სათამაშოების შესახებ (რაც მოთხრობას საგაზეთო ფელეტონის ხასიათს აძლევს), მაშინ მშვენ-

ჩ ვ ე ნ ი ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ე ბ ი

მოთხრობები დუტუ მეგრელისა.

(შემდეგი *)

ფეჩეია აზნაური როსთო სხაპურიძის უკანონო შვილი იყო, ბატონყმობის დროში დაბადებული. როცა მოიზარდა, ფეჩეია ერთმა როსთოს კანონიერმა ასულმა აირჩია მოახლედ. როცა ეს უკანასკნელი გათხოვდა, ფეჩეიაც, რასაკვირველია, თან წაიყვანა. მზითვის სიაში ფეჩეია ჩასწერეს, როგორც მოჯალაბის შვილი, მაკასთან მოახლედ გატანებული. საუბედუროდ ფეჩეიას ძლიერ შეუყვარდა მაკას მულის წული თომა, რომელიც მაკას ქმრის სახლში იზრდებოდა. თომასაც შეუყვარდა ფეჩეია და ეფიცებოდა კიდეც ცოლად შეგირთამო. მაგრამ ეს შეიტყვეს თომას დედ-მამამ, შინ დაიბარეს შვილი და ჩქარა ცოლი შერთეს. ფეჩეია, როგორც წინედაც შევნიშნეთ, ზოსიმე ბერის გავლენით მონოზნად შედგა და დანარჩენი დღენი ხალხის სამსახურს მოახმარა.

ავტორი ფეჩეიაში გვიხატავს, ხორციელ სიმშვენიერესთან ერთად, სულიერ სიფაქიზეს და სიმშვენიერეს. ის წყნარად და ღრმად მოსიყვარულე არსებაა. მისი გრძნობა უძიროდ ჩაუქრობელია; მხოლოდ დროებით გატაცება და მერე შერიგება და დათმობა მას არ შეუძლია. მას სამარადისოდ უყვარს თომა; თომას სიყვარული არის მიზანი მისი ცხოვრებისა. ან თომა ან არავინ—ასე კატეგორიულად აქვს მას გადაწყვეტილი თვისი ბედი. „ბევრი კარგი საქმრო გამოუჩინა ფეჩეიას მაკამ, მაგრამ ის გათხოვებაზე უარს ამბობდა“ (გვ. 102).

ფეჩეიას სიყვარული წმინდა და ზეციურია. მას არ ახლავს ეგოიზმი და პირადი ბედნიერებისაკენ მისწრაფება. ფეჩეია სულიერად ისე წმინდა და უმანკოა, რომ ყველრებასაც ვერ ახერხებს, გაკიცხვასაც ვერ წარმოათქმევინებს ენას; როცა მან შეიტყო: თომამ ცოლი შეირთოო, მხოლოდ ამბობს: „ღმერთმა გააბედნიეროს და, როგორც სურდეს, ისე იცხოვროს; მე რა მადლი მიმიძღვის ღვთის წინაშე, რომ გავებედნიერებინე ღმერთს; ცოდვის შვილი ვარ და ტანჯვით უნდა გავატარო ჩემი დღენი“ (გვ. 103). ასეთი სულგრძელობა და უანგაროება იშვიათი თვისებაა ადამიანში! ამავე დროს ეს სულგრძელობა ფეჩეიასი თითქმის უჩინარია. ამ თვისებით ფეჩეია ცხადად მოგვაგონებს პუშკინის მარია ივანოვნას „Капитанская дочка“-დან. ფეჩეიაში ჩვენ ვხედავთ იმავე უმანკოებას, ღრმა სიყვარულს, უანგარობას, ქრისტიანულ სულგრძელობას, მწვავეს, მაგრამ ჩუმს, მწუხარებას, რითაც არის შემკული სახე მარია ივანოვნასი. აი რას ეუბნება მარია ივანოვნა გრინევს, როდესაც მამამ ცოლის შერთვაზე ლოცვა-კურთხევა არ მისცა. „Нѣтъ, Петръ Андреевичъ, ещубнеба ис, я не выйду за тебя безъ благословенія твоихъ родителей. Безъ ихъ благословенія не будетъ тебѣ счастія. Покоримся волѣ Божіей. Коли найдешь себѣ суженную, коли полюбишь другую Богъ съ тобою, Петръ Андреевичъ я за васъ обоихъ буду Богу молиться“.

თვისი სარწმუნოებრივი გრძნობით, უღრტვინველობით, ქვეყნიური ცხოვრების უარისყოფით და ზოგიერთი სხვა სულიერი თვისებებით ფეჩეია ტურგენიევის ლიზა კალიტინასაც („Дворянское гнѣздо“) მოგვაგონებს. როგორც ლიზა კალიტინას, ფეჩეიასაც არ შეუძლია ცხოვრების სიცრუესთან შერიგება. ამ შერიგების წინააღმდეგია მისი წმინდა და უმანკო გული. მაგრამ, მართალი რომ ვსთქვათ, მას ბრძოლაც არ შეუძლია, რადგანაც სიძულვილის გრძნობასაც მოკლებულია. ფეჩეია თითონ შორდება ცხოვრებას, მიდის იქ (საყდრის გალავანში), სადაც არა ერთს ადამიანს უბოვნია სულის სიმშვიდე და კმაყოფილება. ამ კადაწყვეტილებაში გამოაშკარავდა ფეჩეიას ზნეობრივი ძალა; ამაშია მისი გმირობა. რასაკვირველია შეგვიძლია ბევრი ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რამდენად ნაყოფიერია ბრძოლა ბოროტებასთან „безъ противленія злу“, როგორც რუსები ამბობენ. მაგრამ არც იმის წინააღმდეგი შეიძლება ითქვას რამე, რომ ფეჩეიამ—ამ მშვიდმა და წყნარმა არსებამ—იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ განახორციელა ქრისტეს მცნება—სიყვარული მოყვასისადმი. აი როგორ აგვიწერს ავტორი ფეჩეიას შეგნებულ და მომქმედ სიყვარულს მოყვასისადმი: „ფეჩეია შეიქმნა ს—კში მცხოვრებ მდიდართა და ღარიბთა შორის შუამავალად, შემაკავშირებელ ძალად. ის ღირსეულად ასრულებდა ერთხელვე დაწყებულ საქმეს. ბევრი გაჭირვებული დაუხსნია ფეჩეიას შიმშილისაგან; ბევრი სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფი მოუბრუნებია თავის მოვლით, ბევრი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილისთვის გაუღვიძებია გულში იმედი და ბევრი ურწმუნოსათვის რწმენა აღუძრავს თავისი გრძნობით სავსე სიტყვებით და თავ-დაუზოგველის მოქმედებით. ცხადია, თითონ ფეჩეიაზედ კი ვერ იმოქმედებდა კარგად ასეთი გამუდმებული შრომა და ჯაფა, შეერთებული გამუდმებულსავე მარხვასა და ლოცვასთან. მართლაც, მალე დაამჩნია კვალი ყველა ამან ფეჩეიას: იგი გახდა, ფერი დაჰკარგა, წელში მოიხარა. ლამაზისა და ეშხიან სავე ქალის მაგიერ იყო ახლა მხოლოდ კვრთილი, სუსტი არსება. ნამეტურ საშინლად მოსტეხა ფეჩეია ერთმა ზამთარმა, როდესაც სოფელში რაღაც სურდო ხველამ იჩინა თავი და ერთმანეთს მიაწყო ხალხი“. მერე ავტორს აწერილი აქვს, თუ როგორის თავგანწირულობით ეკლიდა ის მთელს სოფელს, როგორ გახდა თითონ ავად ამავე ავადმყოფობით და დაჭლექდა და სხვა და სხვა. ასეთი აღწერა და დახასიათება იდეურად უფრო სრულჰყოფს ფეჩეიას სახეს, თითქმის ლიზა კალიტინაზედაც მაღლა აყენებს მას, ვინაიდგან ფეჩეიამ, თუმცა უარჰყო პირადი ბედნიერება, მაგრამ ცხოვრებას მაინც არ დაშორდა; პირიქით, აქტიური მონაწილეობა მიიღო ცხოვრების მსვლელობაში, მხსნელ ანგელოზად მოევლინა სოფელს. როცა რომელიმე მწერალი ასეთის ტიპების დახასიათებას განიზრახავს და კიდევაც ჭიდებს ხელს, მაშინ ის ყოველთვის სახიფათო მდგომარეობაში აგდებს თავის თავს. საქმე იმაშია, რომ იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ გმირის იდეალურად განზრახული სახე უსისხლხორცო და ცხოვრების ელფერს მოკლებული იდეალიზაციათ არ შეუცვალოს. პირველ ხარისხოვანი მხატვრებიც გრძნობენ ამ სიძნელეს, ამ სახიფათო მდგომარეობას და გაფრთხილებით იქცევიან. მაგალითად, ტურგენიევმა �ti იხსნა თავისი ლიზა კალიტინა უსიამოვნო იდეალიზაციისაგან, რომ მარტო მონოზნად გადააქცია, ქვეყანას და ქვეყნიურს ცხოვრებას მოაშორა და არ იკისრა ლიზას ქრისტიანული ყოფა-ცხოვრების დ მოქმედების აღწერა. დ აი შედეგი: დღემდის მოკამკამე ვარსკვლავივით ბრწყინავს მთელს რუსულს ლიტერატურაში წყნარი და ნათელი სახე ლიზასი. დიდია მნიშვნელობა ისეთის ნაწარმოებისა, რომლის ავტორმა თვით გაიგო და სხვასაც აუხსნა ისტორიული ტიპი რუსის ქალისა, —ტიპი, რომელიც შეჰქმნა ცხოვრებამ და რომელსაც საფუძვლად ქრისტიანობა და „ღვთის ძიება“ დაედო. როგორც ვიცით, რუსეთში საუკუნოებით ჰყვაოდა, ეგრედ წოდებული, „умное дѣланіе“. ამ სულიერ განწყობილების წარმომადგენელია ლიზაც. და აკი ამისთვის მისი სახე ასე ბუნებრივია! ტურგენიევის დიდმა მხატვრულმა ნიჭმა იხსნა ლიზა კალიტინისა ისეთ იდეალიზაციისაგან, რომელიც ხშირად

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 564.

ლიკე და სომეხი-გრიგორიანები, რიცხვით 25 კაცი.

✦ კავკასიის **სომეხ მასწავლებელთა კავშირს** დაუდგენია, შარშან გარდაცვლილ პედაგოგ ლაზარ ალაიანს ძეგლი დაუდგას, რისთვისაც ფულის მოგროვებას შეუდგება.

✦ პეტერბურგის სომეხთა **საეკლესიო მამულების მმართველმა საბჭომ** 1500 მანეთი გადასდო, სომეხ მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების მოსაწყობად.

✦ ცალკე წიგნად გამოვიდა ჟურნალ „არარის“ დამატება, **ვიქტორ ჰიუგოს რომანი** „93“-ი, რომელიც ნაწილ-ნაწილად იბეჭდებოდა ამ ჟურნალში. ფრანგულიდან სთარგმნა ა. საფარიანმა.

✦ გაზეთ **„მშაკის“** არსებობის 40 წლის **იუბილეის** გამო, როგორც სომხურ სხვა გაზათებში, „მშაკშიაც“ დაბეჭდილია საიუბილეო კომიტეტის მოწოდება სომხის საზოგადოების მიმართ, რათა მის გამოცემის ფონდის გასაძლიერებლად საზოგადოებამ ფული შესწიროს. მოწოდებას ხელს აწერს სომეხთა მრავალი წარჩინებული მოღვაწე და გამოჩენილი პირი.

✦ რომიდან პეტერბურგს დაბრუნდა რუსეთის სომეხ-კათოლიკეთა ეპარქიის უფროსი **არქიმანდრიტი ს. ტერ-აბრაჰამიანი**, რომელიც რომს გაემგზავრა ოფიციალურ საქმეებით. ამ მოკლე ხანში იგი ტფილისს ჩამოვა.

✦ ქ. ტფილისში არსდება ოსმალეთის სომეხთა **საქველმოქმედო საზოგადოების** განყოფილება, რომელსაც მიზნად აქვს კავკასიაში მყოფ ოსმალეთის სომხებს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს, როდესაც იგი ოსმალეთის სომხეთს დაბრუნებას დაიპირებენ. იგივე საზოგადოება მსურველთ დაეხმარება, რათა მათ შეეძლოთ თავიანთ მეურნეობის აღდგენა, რომელიც მათ დაჰკარგეს ოსმალეთის სომეხთა ხოცვა ჟლეტის დროს. ამ საზოგადოების დედაგული ქ. ქაირია (ეგვიპეტ.) ტფილისში განყოფილების დაარსება იკისრა „მშაკის“ რედაქტორმა ა. არაქელიანმა.

✦ განსვენებულ ვიოლონისტ **დავით დავიდიანის** გარდაცვალების წლის თავზე, 27 აპრილს, ქ. ტფილისში გამოვა სალიტერატურო კრებული, მის ხსოვნის აღსანიშნავად. კრებულში დაბეჭდილია ყველა წერილები, რომელნიც მოთავსებული იყო სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. ამავე კრებულში დაბეჭდილ იქნება მისი ვრცელი ბიოგრაფია, სურათები და სხვა.

✦ ფოტოგრაფს გ. ტერ-ღევონდიანს მოუმზადებია **გ. სუნდუკიანის სურათი** სხვა და სხვა ზომისა.

✦ **ქ. ვეინიდან** არდვინში ჩამოსულა სომეხთა შორის ცნობილი მეცნიერი ვენის მხითარისტების სომეხ-კათოლიკე კონგრეგაციის წევრი არქიმანდრიტი **ნ. აკინიანი**, რომელმაც, სხვათა შორის, დასწერა „ქართველთა კათოლიკოსი კირიონი“.

✦ „მშაკის“ რედაქციამ მიიღო **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან 50 მანეთი** განსვენებულ **გ. სუნდუკიანის** ცხედრის გვირგვინის შემკობის მაგივრად. ეს ფული გადაიდება „პეპოს“ ძეგლის ასაგებ ფონდისათვის.

✦ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების **ბიბლიოთეკა-სამკითხველო** მარტის განმავლობაში 3835 კაცს დაუთვალიერებია. ამავ ხნის განმავლობაში წასაკითხად სახლში წაუღიათ 1933 წიგნი.

ᲓᲝᲜᲘᲡ-ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ.

✦ როსტოვი „ქეშმარიტ რუსთა“ ერთი ორგანიზაციით კიდევ გამდიდრდა. 27 მარტს გაიხსნა „მიქელ-გაბრიელის“ კავშირის განყოფილება. ქალაქის გამგეობის დარბაზში პარაკლისი გადაიხადა ტაგანროგის ეპისკოპოსმა ფეოფილაქტემ. პარაკლისის შემდეგ განყოფილების თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა მიზანი მიქელ-გაბრიელის კავშირისა. პარაკლისს ცოტა ხალხი დაესწრო.

✦ ამ ბოლო ხანებში სითბომ საგრძნობლად დაიწია. აღდგომა დღეს თოვლი მოვიდა.

✦ ამ მოკლე ხანში ჭლექთან მებრძოლი საზოგიდოება გამოფენას ჰმართავს.

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲐᲕ-ᲙᲐᲠᲒᲘ

(„საკამის სერი“).

„საკამის სერი“ მდებარეობს ორ საზოგადოების შუა ადგილას: ნანეშვილის-სეულისა და ზემოხეთისა; ჩრდილოეთით საზღვრავს აბაშის საზოგადოება, რომელიც ეკუთვნის ქუთაისის მაზრას და სამხრეთით კი კოკოცას მთა, რომლის გადაღმა არის სურების საზოგადოება. ზემოხსენებული „საკამიას“ სერი მახსოვს როს დიდი გაუვალი ტყე ყოფილა:

ორმა საზოგადოების ნაწილმა 300 კომლმა თავს იდვა სკოლის დაარსება და კიდეც აშენეს მშვენიერი მაგარი ახალი სტილის სახლი ორსართულიანი. ქვემოთ სართული ეკვსი ფართო ოთახისაგან შესდგება; ზედა სართული ექვს საშუალო ოთახისაგან, სახურავი ჟესტისა აქვს,—აივანი 10 საჟენი სიგრძით და სიგანე 5 არშინია.—ჯერ კიდევ ბევრი ხარჯი სჭირდება: არა აქვს იატაკი და არც ჭერი არც ერთ სართულს, არც კარ-აკოშკები.

7 და 8 ამა მარტს საზოგადოებას მოლაპარაკება ჰქონდა იმაზე, თუ რა შემოსულა სკოლის ასაგებად და რა დახარჯულა. კომისიამ წარუდგინა კრებას ანგარიში შემოსავალ-გასავლისა, რომელზედაც დიდი აურზაური ასტყდა კამისიის გამოკვლევაზე: ბევრი რამ უსაფუძვლო ხარჯი აღმოჩნდა, რომელიმე აღმშენებელ გამგე პირთაგან. ამ საგანს ორი დღე მოანდომა კრებამ და ვერაფერ დასკვნას ვერ დაადგა. ამოირჩიეს ხელახალი აღმშენებელი კამისია, რათა იმათ მოიყვანონ დაბნეული ანგარიში სისწორით სისრულეში.—

ექვს მარტს მოვიდა ხუროთ მოძღვარი გეგმის ასაღებად. მას სკოლის შენობა მოსწონებია.

მიწა-ადგილი სკოლისა ზოგი ფასად შეიძინა საზოგადოებამ და ზოგი პატრონებმა უფასოდ დაუთმეს სკოლას სამეურნეო განყოფილებისათვის. ამ შემოძენილ ადგილში ერთი ნაწილი სავაჭრო დანიშნულებისათვის გადიდვა და დიდის შრომით ეს სერი გადათხარეს და ვაკეთ აქციეს და მერე ნებართვა აიღეს საიდგანაც ჯერ არს. ბაზრობა გამართეს.—გააშენეს კარვები ორ-სამ რიგად, სადაც თავისუფლად ივაჭრონ, ავდარში წვიმამ არ შეუშალოს ხელი და დარში სიცხემ არ შეაწუხოს.

აქ იწყება ბაზრობა 20 ივნისადან პირველ ივლისამდე. ბაზრობის ნებართვა მთავრობამ 1908 წელს მისცა საზოგადოებას. ამ დროიდგან ყოველ წელს ვაჭრობა იმართება. აქ მოდიან ვაჭრები სხვა და სხვა კუთხიდგან; ახალციხიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, სენაკიდან, ფოთიდან, ბათომიდან, ოზურგეთიდან და სხვა. მოაქვთ გასასყიდად სხვა და სხვა საქონელი: ფართლეული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სამეურნო იარაღები, ჭურჭლეულობა, საწვრილმანო და სხვა სოფლის ნაწარმოები. ამავე დროს აქ იხსნება სამიკიტნოები სხვა და სხვა საყმელებით და სანოვაგით.

ამ ბაზრობის წმინდა შემოსავალი ყოველ წლივ უდრის 300—400 მანეთს, ეს შემოსავალი სკოლის საარგებლოდ ანის გადადებული. სამი-ოთხი წლის წინედ აუშენებიათ ორი ფიცრული სახლი სასკოლოდ: ერთი სავაჟო და მეორე საქალებო სამრევლო სკოლისთვის, რომელშიაც დღემდე სწავლა სწარმოებს. არის კიდევ 40 დუქანი სხვა და სხვა საქაროთი: ფართლეულისა 2, ფეხთსაცმლისა 2, სახარაზო 4, საზეინკლო 1, სამკედლო 1, სახურვანო, საღურგლო-სახარატო 1, საწვრილმანო 4, ფურნე 2, სათერძო-სადალაქო 1, და აფთიაქის მაღაზია 1 და სხვ., დანარჩენი დუქნები ცალიერია.

ორი წელიწადია რაც აქ საზოგადოებას დაუარსებია წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელშიაც უსახსრობის გამო, გარდა რომელიმე ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა სხვა გამოცემას ვერ შეხვდებით. კარგი იქნება თუ, სხვა და სხვა ქალაქებში მყოფი პირები ამ საზოგადოებებსა შემწეობას აღმოუჩენენ ამ ღარიბ წიგნთ საცავ-სამკითხველოს: ფულით, წიგნებით, და ჟურნალ-გაზეთებით. დიდ საპიროებას წარმოადგენს ამ ოთხ საზოგადოებისათვის: ზემოხეთისა, ნანეშვილის სეულისა, სურებისა და ნაწილი აბაშის საზოგადოებისა საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება. მთავრობაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ამ საპირო დაწესებულების დაარსებაში.

ზემოხეთელი.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ 1911 Წ.

ძველი სუნაკის სავაპრო, სამრეწველო ამხანაგობის „**შუამავალი**“-ს

I ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ:

1. ამხანაგობა „შუამავალი“ დაარსებულია 1897 წ. 2. 1911 წ. სავაჭრო სეზონისთვის 1 ივნისს ამხანაგობაში ირიცხებოდა 264 წევრი 2900 მან. საწევრო თავნით; მათ შორის 22 წევრი 5 მანეთიანი, 222 10—მანეთიანი 10—20 მან. 6—30 მან. 1—40 მანეთიანი. 1—50 მანეთიანი და 1—100 მან. 3. 1911 წლის 29 მაისის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, შემცირებულ იქნა იმ წევრების წილი და დივიდენდი, რომელთაც ამხანაგობისა თესლის ნისია ემართათ 81 მანეთი და 65 კაპ. 3. ამავე წლის ანგარიშში მიეწერა ხუთ მახეთიანი წევრების წილს მათი ხვედრი დივიდენდი, რის გამო ახლა წილის ფული უდრის 2940 მ. 90 კ.

დღემდე ამხანაგობას დაურიგებია: ა) დივიდენდად 977 მ. 62 კ., ბ) საქველმოქმედო გაუცია 150 მ. გ) 1911 წ. 29 მაისს კრებამ აპატია ერთს დებიტორს ვალი 471 მ., დ) 1907 წლის კრების მიერ გამორიცხულ იქმნა უიმედო ნისია 293 მ. 80 კ. სულ 1892 მ. 42 კ.

II. 1911 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲮᲘᲡᲐᲪᲘᲐ

შემოსავალი:

1. ამხანაგობას ჰქონდა 3450 მ. 94 კ., 2. სესხი აიღო 1200 მ., 3. აბრეშ. თესლის ნაღდი 340 მ. 20 კ., 4. დებიტორებიდგან 81 მ. 65 კ., 5. პარკის ფასი 3125 მ. 40 კ., 6. ფულის % % 1 დეკ. 1 მარტ. ძმ. ქავთარაძეებისაგან (1700) მა-ის. 34 მ. 7. იგივე შენახული (400 მან). 8 მ. 8. ყავრის ფასი 30 მ. 20 კ., სულ 8870 მ. 39 კ.

გასავალი:

1. პარკის დამუშავება და გაგზავნა 166 მ. 77 კ., 2. საკანცელარიო და საგზაო 50 მ. 41 კ. 3. ყარაული 120 მ., 4. მმართველობა 150 მ., 5. ტომრები 46 მ. 40 კ., 6. განათება და გათბობა 13 მ. 28 კაპ., 7. ფარდულის და სახშობისა 546 მან. 86 კაპ., 8. მოძრავი ინვენტარი და რემონტი 293 მ. 42 კ., 9. დივიდენდი 48 მ. 47 კ., 934, 45 10. პარკის ნაყიდობა 3515 მ. 27 კ., 11. აბრეშუმის თესლის ნაყიდობა 370 მ. 12. სესხის დაბრუნება 1200 მ. 13 კ. სესხის სარგებელი 40 მ., 14 კ. გადასვლითი დებეტით 81 მ. 65 კ. 5206, 92 კ. დარჩა ნაღდი 2182, 16 კ. სულ 8870 მ. 39 კ.

III ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ ᲬᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ 1911 Წ.

გასავალი:

1. პარკის ნაყიდობა 3515 მ. 27 კ., 2. დაუბრუნებელი ხარჯები 546 მ. 86 კ., 3. ფულის სარგებელი 40 მ., 4. აბრეშუმის თესლის ნაყიდობა 370 მ. სულ 4472 მ. 13 კ.

შემოსავალი:

1. პარკში ამოგებული 3725 მ. 40 კ., 2. აბრეშუმის თესლის ნაღდი 340 მ. 20 კ., 3. გრენის ამოსაგები 100 მ. 80 კ., 4. ფულის % % 1 მარტამდე 42 მ. სულ 4208 მ. 40 კ.

წაგება ამ წლის 263 მ. 73 კ. სულ 4472 მ. 13 კ.

IV ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ

1911 წ. 1 მარტისთვის

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ

1. ნაღდი 2182 მ. 16 კ., 2. ინვენტარი 1115 მ., 3. დებიტორებზე 783 მ. 34 კ. სულ 4080 მ. 50 კ.

ᲞᲐᲡᲘᲕᲘ

1. წილის ფული 2940 მ. 90 კაპ., 2. დივიდენდი 774 მ. 68 კ., 3. სათადარიგო და სხვა 364 მ. 92 კ. სულ 4080 მ. 50 კ.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

(დასასრული *)

IV

ოჯახი. სახელმწიფო. ბოგდიხანი. მოხელე-მანდარინები. კანონები. საპყრობილე. ჩინელების დანასიათება. ჯარი. ვაჭრობა. გადამხიდავები. გზა. ჩინეთის დღევანდელი მდგომარეობა.

ოჯახი ჩინელებისთვის ყველაფერია. არ არის დედა-ძიწის ხურგეზე ხალხი, სადაც შვილები ისე პატივისცემით ეპყრობოდნენ დედ-ძაძას, როგორც ჩინეთში. შეიძლება ეს პატივისცემა ძიმითაა გამოწვეული. ძალას დიდი უფლება აქვს შვილებზე. მამას შეუძლიან გაჰყიდოს შვილი. შვილს არა აქვს რაამე უფლება წინააღუდგეს მამის სურვილს. შვილები ყურ-ოკოლნი. ბოლანი. ბოლანთავიანთ მამისა და ხმის ამოღებაც კი არ შეუძლიანთ. შვილის კეთილი და კარგი საქმე ახარებს მამას და მთელ ოჯახს. პირ-იქით შვილები, როძლებიც ჩაიდენენ ცუდ საქმეს, არამც თუ ამცირებენ თავის პიროვნებას, არამედ მთელ ოჯახს. უდიდესი სასჯელი შვილისთვის მამისგან დაწყევლაა შვილისა, ამიტომაცაა რომ ოჯახში კარგი განწყობილება სუფევს. ის შვილები, რომლებიც ცუდად ექცევიან დედ-მამას, სიკვდილით ისჯებიან, მხოლოდ ამ ძაძის სახელ-კარს ანგრევენ და ამ მაზრის მოხელე—მანდარიხს სამსახურიდან ითხოვენ. უმთავრეს ქალაქ პეკინში ამ შეძთხვევის გამო იკეტება სასწავლებლების კარები. ის ადგილი სადაც მოხდა სასჯელი, ითვლება დაწყევლილად და ძთელმა მცხოვრებმა უნდა მიატოვონ ეს ადგილი და გადასახლდნენ სხვა ადგილას. შვილი ყველაფერში ემორჩილება ძაძას. ხშირია ძაძაირი შემთხვევაც, მშობლების ავადმყოფობის დროს შვილები იკრიან ხორცს თავის სხეულიდან, ან კიდევ თითს და მიაქვთ ძკერთხავებთან; რომ ამ ხორციდან გაკეთონ ძმობლებისათვის წაძალი. ძვილები ემორჩილებიან თავიანთ ძაძებს, იმათი უფლება შვილზე განუსაზღვრელია, ყოველი წევრი ოჯახისა თავის თავს ძოვალედა ჰრაკს დაემორჩილოს უფროს ძაძას, ყველანი კი ემორჩილებოდნენ ერთ ძაძას „ცის ძვილს“—ბოგდიხანს. ჩინეთის სახელმწიფო ითვლებოდა ერთ დიდ ოჯახად, მამად ითვლებოდა იმპერატორი დედად კი—დედოფალი.

უფლება ბოგდიხანისა განუსაზღვოელი იყო, როგორც ძაძისა შვილებზე. ბოგდიხანს შეეძლო წაერთძია ქონება, ძესაჯა სიკვდილი, ერთი სიტყვით ძას ჩაიდენდა, რასაც ძოისურვებდა. ცრუძორწმუნე ჩინელებს სწადათ, რომ თვით ბუნება ემორჩილება ბოგდიხანსრ. ძას ისეთ პატივსა სცემდნენ, როგორც თავიანთ ღძერთეს. როდესაც მოხელე-ძანდარინები ძიიღებდნენ რაიძე განკარგულებას იმპეოატორისგან, იისი ძოწიწებით ძესწირავდნენ ღძერთებს ძსხვერპლს, უკძევდნენ საკძელს ბოგდიხანის აჩრდილს და თავს არტყაძდნენ იმ კედელს, როძელსაც პირი ჰქონდა ძიქცეული პეკინისკენ, ესე იგი იქითკენ, სადაც სცხოვრობდა იძპერატორი. იმპეორი % % 1 დეკ. 1 მარტ. ძმ. ქავთარაძეებისაგან (1700) მა-ის. 34 მ. 7. იგივე შენახული (400 მან). 8 მ. 8. ყავრის ფასი 30 მ. 20 კ., სულ 8870 მ. 39 კ.

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 562.

ლოძეს წაოძოდგენეაც არ შეეძლო, ძისი როძ ძის ძისვლაძდე დაიწყებდა წირვას ძღვდელი, ოადგაი ძეთვლილი ჰქოხდა ძოვალო“ (გვ. 216).

ძეძდეგ ავტორი ლაძაზად და ძოხდეხილად აგვიწერს გრძნობიების ცვალებადობას, ძის ტოაღი-კოძიკუოს ძდგოძაოეობას, გაოცებას და გაკვირვეაას საყდრის გალავან ში და საყდარი. ძოთხრობის ეს ადგილი ისეთი ძ ძვენიერია, როძ ძკითხველს სრულს სიაძოვხებას და კძაყოფილებას აგრძნოაიხებს. ავტორაძ ორ გვერდზე ზედძიწეკხით გაბოაკანდაკა სალოძეს საეე: ძისთვის აოა-ჩვეულებრივის მხატვოული ხოძიერებით დაგვიხატა სალოძეს სულიერი ძდგოძაოეობა—სურვილი ძურისძიების (უნდა აცდევიხოს ძღვდელს), ძერე გახცვიფოეაა, ძემდეგ ბოა ზი („კბეიხა სალოძე ისე ძია ძტეოდა თვალეეიით კარებს, თითქოს უნდა ჩაყლაპოს მთელი, საკურთხეველი სახიხლარ ძღვდელთან ერთადო“) და ბოლოს ძისი ჯიუტობა („სალოძეს ჯვრის დანახვაზე გაძოიხსახა პირჯვაოი, გადადგა აძბიონისკენ ორი ნაბიჯი და გულზე ხელდაკდოხილი დადგა და ძღვდლის ძიგეაებას უცდიდა“).

სალოძე ნაძდვილი ცოცხალი და ისტორიული ტიპია. სალოძეები ბევრნი იყვნენ ჩვენში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ,—იმ დროს, როდესაც ჩვენში ჯინედ გაბატონებული ყოდება ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო და თვის დაკარგულ ძალას და უფლების ანაზღაურებას წვრილძანეებით ლამობდა. ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდნენ ყოველი „ბატონები“, როდესაც თვისი ჩამორჩენილი წარმოდგენით და შეხედულობით აფასებდნენ და სწონავდნენ განახლებულ და გამოცვლილ ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათ... დღეს სალოძეები ჩვენში თანდათან ფერს უცვლიან ან სრულიადაც ჰქრებიან. დ. მეგრელმა ცოცხლად აბეჭდა სახე ქართველ სალოძეებისა და ძომავალ თაობას გადასცა, როგორც ისტორიული ტიპი.

(შემდეგი იქნება)

იპ. ვართაგავა.

ნერი და კოპწია მოთხრობა გამოვდოდა, მით უმეტეს, რომ მოთხრობის უმთავრესი გმირი და მისი სულის კვეთება შესანიშნავის ბუნებრიობით და ზომიერებით აქვს მწერალს დახატული.

თამარა თანამედროვე „განათლებული“ ქართველი ქალის ტიპია. ავტორი გაუზვიადებლად გვაჩვენებს მის ღირსება-ნაკლულევანებას. თამარას არ აქვს სიდინჯე, მოთმენა შორს-მჭვრეტელობა, მოვალეობის შეგნება; „ბალ-ვეჩერები“ და „ტანციმანცია“ შეადგენენ მისთვის ტკბილ ოცნების საგანს; ნამდვილი და შეგნებული მეუღლეობა, თავგანწირული დედობა მას, რასაკვირველია, არ შეუძლია; ის ცრუობს სერგოს წინაშე, რომელიც მას გაგიჟებით უყვარს.

მაგრამ ამავე დროს თქვენ აჩჩენენ, რომ თამარა ბუნებით სარ ადამიანადაა დაბადებული; მისი არსება არ არის გარყვნილ-გაფუჭებული, სხვა „კავალერზე“ და სხვის ხეევნა-კოცნაზე არ ოცნებობს; მას მხოლოდ სურს თავის საყვარელ სერგოსთან ერთად შევიდეს გაჩაღებულ დარბაზში და ყველას ყურადღება ძიიქციოს. თამროს არ დაჰკარგვია ქრის მორიდება, არ ძალობს, „ისტერიკის“ საშუალებით არ უნდა ქმარი დაითანხმოს, როგორც ამას გაკაპასებულნი და გავარდნილნი უცხო ტიმის ქალები სჩადიან. ის ქმარს არც კი აწყენინებდა, არ შეაწუხებდა, რომ ასე ეშვიათად არ მოუხდებოდეს ხოლმე საზოგადოებაში გასვლა ან და ქალაქში ცხოვრება.

სჩანს, რომ თანამედროვე აღზრდა-განათლებას მთლად არ გაურყვნია თამროს სული და გული, მთლად არ წაურეცხნია მის პიროვნებაში ისტორიულად გამორკვეული ქართველ დედათა ზნე-ხასიათი და სულიერი თვისებები.

მაგრამ რა? აჩრდილი-ღა დარჩენილა! თუმცა თამარა მთლად არ არის გადამახინჯებული, მაგრამ უეჭველია, რომ ის ჭეშმარიტ ქართველ დედად არ გამოდგება, რომ ის ვერ გაუწევს ნამდვილ ქართველს ღირსეულ მეუღლობას და საგულისხმიერო „ნანასაც“ ვერ უმღერებს თავის ჭირმშო შვილს, და ეს იმიტომ, რომ სადღაც და ვიღაც ცდილა მის „ხსოვნაში წაეშალა სხვი წარსულის“; სადღაც და ვიღაცას ჩაუნერგავს მასში თაყვანისცემა სუყველაფერი უცხოსადმი და აბუჩად აგდება ყოველივე ეროვნულისა; სადღაც და ვიღაცას აღუძრავს მასში მდაბალი ინსტინქტები და გრძნობები. დაუგდოთ ყური მის მსჯელობას: „...როგორ, ეუბნება ის განცვიფრებით ქმარს, ლეკურს უფრო მაღლა აყენებ ევროპიულ ცეკვაზე? ლეკური ხომ ნაშთია იმ დროის, როცა ხალხი ჯერ ისევ ველურ მდგომარეობაში იყო, როცა დედა-კაცი გაურბოდა მამაკაცს და ეს ძალად იჭერდა მას...“

აი რა ნაირ ყალბ ნიადაგზე იზრდებიან მომავალი ქართველი დედები; აი რანაირად შეჰპარვიათ ძვალრბილში მათ გადაგვარების და გარყვნილების ძღილი! ლეკურის ცეკვა-თამაშის „ველურად“ აღიარებიდან, აბა რა დიდი მანძილია ქართულ ენის ველურადვე მიჩნევამდე?! უეჭველია, ჩვენს ქალებს ასეთის უარის ყოფისაკენ უკვე გადუდგავთ ნიბიჯი, ‌ᲗᲝ თუ დროზე არ იქმნა შეჩერებული მათი თავმოშწონე მსვლელობა ამ გზით, ხიფათი მოელის ჩვენს მომავალს.

სანამდის „ვალსის“ მოტრფიალეთ მთლად არ დარჩენიათ ჩვენში ბუერი და მოედანი, ჩვენ უნდა ვეცადნეთ „ლეკური“ (როგორც სიმბოლო) შეგვაყვაროთ ჩვენს ქალებს. თორემ ჩქარა დაგვიდგება ჩვენც ისეთი დრო, „როცა ქალი აღარ გაურბის მამაკაცს და, პირ-იქით, ნახევრად შიშველი ხელში უვარდება მას“ (სერგოს სიტყვები გვ. 121). ასეთი კულტურისაკენ მიგვაქანებს ჩვენ აზიელებს, სქესობრივ განწყობილებაში ნაქები ევროპა! როგორც ნამდვილმა ერის შვილმა, დ. მეგრელმა შეამჩნია ჩვენს ცხოვრებაში ქართველ დედების გადაგვარება, გაფუქსავატება და მხოლოდ „მოკისკისე ქალ-ბატონებად“ გადაქცევა და მოისურვა ამ სახიფათო მოვლენის გაკიცხვა და დაგმობა. „ბალში“ მწერალი არ

ტორს ჰყვანდა ექვსი მინისტრი და ესენი განაგებდნენ მთელ სახელმწიფოს ისე, როგორც მათ სურდათ. იმპერატორის დანახვის დროს მინისტრები იჩოქებდნენ მის წინაშე და უსმენდნენ მის განკარგულებას. ერთი სიტყვით იმპერატორი სრულუფლებიანი მბრძანებელი იყო მთელი ჩინეთისა.

პროვინციებში კი განაგებდნენ **მეფის მოადგილე** მოხელე-მანდარინები. ესენი ამ პროვინციის ბატონ-პატრონნი იყვნენ. მოხელე-მანდარინები ძალიან ავიწროვებდნენ ხალხს, თავისთვის უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ხალხის კეთილ-დღეობისთვის. დაადებდნენ ხალხს აუტანელ ხარჯებს. და რაც შეეძლოთ ფცქვნიდნენ მათ. უმეცრებისა და ცუდი გამგეობისგან სწუხდა მთელი ხალხი. ერთი სიტყვით ჩინეთის ხალხი ძალიან შევიწროებული იყო მოხელე-მანდარინებისგან. მთავრობამ ეს იცოდა და აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ხშირად მათ მიერ მიღებული ზომები მიზანს ვერ ახწევდა.

ჩინეთში **კანონებიც** ძალიან ავიწროვებდა ხალხს. ჩინეთისთანა მგზავს კანონებს სპარსეთში თუ ნახავდა კაცი. დამნაშავეს კისერზე ადებდნენ უზარმაზარ ფიცარს, ისე რომ დამნაშავეს არ შეეძლო არც განძრევა, არც ფეხზე დგომა. ამ ფიცარზედ დიდი ასოებით ეწერა მისი დანაშაული. დამნაშავე ამ ფიცრით გამოჰყავდათ მოედანზე, სადაც დიდი ვაჭრობა იყო გაჩაღებული, და იჯდა, აქ რამდენიმე დღე. მსუბუქ სასჯელად ითვლებოდა ჯოხით ცემა ფეხის გულებზე. უსასტიკესი სასჯელი იყო დადებული მამის მოკვლისთვის. სასჯელის გადაწყვეტამდე დამნაშავეს ციხეში ამწყვდევდნენ. ციხის ოთახი ძალიან პატარა იყო. დამნაშავე ვერ იმართებოდა და იძულებული იყო მოკეცილი დამჯდარიყო, რადგანაც ფეხების გაშლაც არ შეიძლებოდა. ციხეებს აკეთებდნენ ქუჩის პირად, დიდ მოედნებზე, სადაც ხალხი ბლომად იყრიდა თავს. მთავრობა მათთვის სრულიადაც არ ზრუნავდა, საჭმელს დამნაშავეს არ აძლევდა და სხვა. ამიტომ დამნაშავენი იძულებულნი იყვნენ გამვლელისთვის გაეშვირათ ხელი და ეთხოვათ მოწყალება. სასამართლოში დამნაშავენი დაჩოქილები იყვნენ, სანამ დამნაშავეს გადაუწყვეტავდნენ სასჯელს, და თავი დაბლა ეჭირათ. ძალიან ბევრს დამცირებას იტანდნენ დამნაშავენი.

ჩინელები მეტად მშვიდობის მოყვარე რბილნი და კეთილნი არიან. ქცევა მეტად თავაზიანი აქვთ, ნამეტურ სტუმრებთან. მათ საყვარელ გასართობად მიაჩნდათ ფრიალების და შუშხუნების აშვება. ლოთობა ჩინეთში სასტიკად იკრძალება, რის გამოც მთელს ჩინეთში ერთ თვრალს ვერ შეჰხვდებით, საღამოთი, რვა-ცხრა საათის შემდეგ, ქუჩაში ვერავის ჰნახავთ. თუ ვინმე გამოვა რაიმე საჭირო საქმისთვის ხელში უჭირავს ანთებული ფარანი, რომელზედაც სწერია სახელი პატრონისა. ჩინელები ძალიან ზრდილობიანად ექცევიან ყველას. კონფუციმ იმდენი კანონები დაუწერა, რომ მათი შესრულება ბევრ დროს არ-თმევს. ყოველმა ჩინელმა კარგად იცის, თუ კანონის ძალით როდის უნდა დაუკრას თავი, როდის უნდა დაიჩოქოს, როდის უნდა გაიღიმოს, გაიცინოს, აიმაღლოს ხმა და ბევრი სხვა. მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი გარემოება. როდესაც ჩინელთან მიდის სტუმარი მასპინძელი არ დაჯდება. სანამ სტუმარი არ დაჯდება მასპინძელი ჯდება სტუმრის მარჯვნივ. სტუმარმა ლაპარაკის დროს თუ ცოტათი წამოიწია მასპინძელმაც უნდა წამოიწიოს. ერთი სიტყვით უნდა მოიქცეს ისე როგორც სტუმარი იქცევა. თუ ჩინელი მიდის ეტლით და შეხვდა ნაცნობი, მოვალეა გადმოვიდეს ეტლიდან, მდაბლად დაუკრას თავი და იკითხოს ყველა ოჯახის წევრის ჯანმრთელობა. ზრდილობა მოითხოვს ინდგნენ ქუდ დახურულნი რომელიმე გამოჩენილ პირის წინაშე. ყველა ზემო ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი წესები უნდა შეასრულოს ჩინელმა თუ ჰსურს რომ იგი ჩასთვალონ ზრდილად და ბრძენად.

როგორც ზევითა ვთქვი, ჩინელები ძალიან მშვიდობის მოყვარული ხალხია, რადგანაც იმათ ბრძენები უქადაგებდნენ მშვიდობიანობას და წინააღმდეგნი იყვნენ ომისა. ამიტომ ჩინელები ჯარის გაწვრთნას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და რიცხვითაც ძალიან ცოტა ჰყავდათ. ნაწილი ამ ჯარისა ციხე-სიმაგრეებს სდარაჯობდა და მეორე ნაწილი კი სცხოვრობდა თავის სახლებში და მისდევდა მიწის მუშაობას. თუ მოხდებოდა ომი, მაშინ გამოვიდოდნენ მტრის წინააღმდეგ. ჯარის კაცებს ტანთსაცმელი ძალიან უბრალო ჰქონდათ. თავისუფალი ზედა ჩასაცმელი, ზურგზედ კი ეწერათ ნომერი ბატალიონისა, როტისა და სხვა. 1894 წ. როდესაც მცირე რიცხოვანმა იაპონიამ დაამარცხა მრავალრიცხოვანი ჩინეთი, იგრძნეს, რომ მათ ჯარი გაუწვრთნელი ჰყავთ და მოიწვიეს ევროპიელი აფიცრები. ამ ევროპიელმა აფიცრებმა ჯარი კარგად გაწვრთნეს და მისცეს გაწვრთნილი ჯარის ელფერი.

თუ ჩინელები ცუდი მეომარნი არიან, სამაგიეროდ იმათ ვაჭრობაში ვერავინა სჯობნის. თითქმის ყოველი ჩინელი მოვაჭრეა. იშოვის თუ არა ცოტა თანხას, იმ წამსვე დაიწყებს ვაჭრობას. გზებიდა საზოგადოდ მისვლა-მოსვლა საქმეს აჰირებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არა დრკებიან და ყველაფერს ვაჭრობას ამჯობინებენ. ჩინელები სარგებლობენ მდინაარეებით და არხებით, რომელიც ბევრია ჩინეთში. საქონლის გადასაზიდად ჩინეთში არიან აუარებელი მუშები, რომლეთაც ისინი ეძახიან კულებს. ამათი რიცხვი რამდენიმე ათი ათასით განისაზღვრება. ეტლებითაც გადააქვთ საქონელი. უმეტეს ნაწილად ეტლებში საქონლის მაგიერ ებმიან თვით ადამიანები. ხშირად შეხვდება კაცი აგრედვე იალქნიან ეტლებს, რომლებიც ძალიან უმსუბუქებენ ადამიანს ტვირთს. ხალხიც მოგზაურობს ამ გვარ ეტლებით. ადგილის სივიწროემ აიძულა ბევრი ჩინელი გადასახლებულიყო შორს ავსტრალიაში, მაგრამ დანიშნულს ადგილს ბევრი ვერ ახწევდა და რამდენიმე ასობით იხოცებოდნენ გზაზე.

ადვილი გასაგებია, თუ რისგან წარმოსდგა ჩინეთში ამბოხება. აქაიქ დაიწყო ფარული პროტესტი. ამ პროტესტმა თან და თან სასტიკი ხასიათი მიიღო და გადაიქცა აჯანყებად. აჯანყებულებს ჯარიც მიემხრო—სამხრეთის ნაწილის ჯარი. ბოგდიხანი დაფაცურდა, მან გადასწყვიტა ჩაექრო ეს აჯანყება. ბოგდიხანმა ჯარის მეთაურად დანიშნა იუანშიკაი. ბევრს ეცადა ეს სარდალი, რომ ჩაექრო რევოლუცია, მაგრამ ვერას გახდა. იგი იძულებული იყო გაემართა მოლაპარაკება რევოლუციონერებთან, ამ მოლაპარაკებამ მხოლოდ რამდენადმე შეაჩერა რევოლიუცია, არც ერთი მხარე არ დასთანხმდა წამოყენებულ პირობებზე. რევოლიუციონერებმა გადასწყვიტეს გალაშქრება პეკინზე. სუნიათზენი, რევოლიუციის ბელადი, მზად იყო გალაშქრა პეკინზე, მაგრამ აქ კიდევ წაუყენეს პირობები. მთავრობა დასთანხმდა რესპუბლიკაზე, მხოლოდ შემდეგი დირექტივები წარუდგინა, სახელდობრ: მეფის გვარეულობა ხელშეუხებელი დარჩეს, დაენიშნოს რამდენიმე მილიონი მანეთი, დარჩეთ ტიტული და რესპუბლიკის პრეზიდენტად 10 წლით დარჩეს იუანშიკაი—ეს მთავრობის მომხრე და სასტიკი მტერი რევოლუციონერებისა. რევოლუციონერები დასთანხმდნენ ამ პირობებზე. დღეს იქ რესპუბლიკაა. პრეზიდენტად კი რევოლიუციის მტერი იუანშიკაია. რა მოსაზრებით დასთანხმდნენ რევოლიუციონერები იუანშიკაის პრეზიდენტობაზე ამას მომავალი გვიჩვენებს.

დ. ბურჭულაძე.

ჩინეთის რევოლუცია

დეკეშები

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორმა მთავრობას მოახსენა, რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე კომისარის გამწესებაა საჭიროო. ჩინელები იუწყებიან მუკდენს დედოფლის საიდუმლო აგენტი ჩამოსულა „უშიშართა საზოგადოების“ მოღვაწეობის გასაცნობად და პეკინიდან მიმალულ ძაიძზეს მოსანახავად.

ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲨᲘ

ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘ

ქოი. რაც რუსის ჯარი აქა სდგას, ეს მეოთხე გუბერნატორი მოსულა—ემირ-ამჯეტი.

ურმია. სოუჯ-ბულაყიდან ამბავი მოვიდა: სამად-ხანის თანაშემწის კაზი-ფეტახსა და ქურთთა გავლენიან ბელადს ბაჯი-ელხანს, შეტაკება მოუვათო. ოსმალეთის კონსული სცდილობს შეარიგოს. ეუბნება, თქვენი ჩხუბი რუსეთს საბაბს მისცემს საქმეში ჩარევისას და ამას კი ყოველი მართლმორწმუნე მუსულმანი უნდა ერიდებოდესო.

ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘ

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

3 აპრილი.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲑᲐᲠᲔᲓ.

არჩევნები სერბიაში.

ბელგრადი. 166 დეპუტატში ჯერჯეროობით არჩეულია: 87 ძველი რადიკალი, 37 ახალგაზდა რადიკალი, 29 ლიბერალი, 11 „ნაპრედნიაკი“, 2 სოციალ-დემოკრატი.

ხორვატიის საქმე.

ზაგრები. სერბიელ-ხორვატიელთა კოალიციის ბელადი ლორკოვიჩი, რომელსაც სამი თვის ციხე გადაუწყვიტეს, ძალიან ავად გამხდარა.

ბრნო. მორავიის ჩეხელთა პარტიებმა ხორვატიის საკონსტიტუციო გარანტიათა გაუქმების საპროტესტოდ დიდი კრება გამართეს. დაადგინეს, სლავიანთა ყველა დეპუტატმა ხორვატიის საშველად რაიმე ღონისძიება მიიღონო.

სალეტი. ხორვატელთა და სერბიელთა პარტიის დელეგაციელმა დეპუტატებმა ხორვატიის საკონსტიტუციო გარანტიათა გაუქმების და მთავრობის კომისსარის გამწესების საწინააღმდეგოდ დიდი კრება გაამართეს. გადასწყვიტეს საერთო მოქმედებისათვის აღმასრულებელი კომიტეტი ამოირჩიონ.

ბრისონის დასაფლავება.

პარიზი. ბრისონის დასაფლავებას სამოქალაქო ხასიათი ექნება. პალატის პრეზიდენტის კანდიტატად ასახელებენ ეტიენს, დეშანელსა და დელკასეს. იმედი უფრო ეტიენს უნდა ჰქონდეს.

გერმანიის რეიხსტაგი.

ბერლინი. რეიხსტაგში შეიტანეს სახელმწიფოს დაცვის კანონპროექტი, დასამატებელი ბიუჯეტი და სპირტის კონტიგენტის გაუქმების პროექტი. სამხედრო კანონპროექტით უნდა შეადგინონ ქეეითა ჯარის შვიდი ბატალიონი, ექვსი ესკადრონი, საველე არტილერია 41 ბატარეია საპიორთა ექვსი ბატალიონი და სატყვიის მფრქეველო 106 როტა. აგრეთვე საჭიროა ყოველ წლივ წყალ ქვეშ მავალ ექვს-ექვს ნავის აშენებაო. საერთოდ მათი რიცხვი 72 უნდა უდრიდესო.

ისევ სერბიის არჩევნები.

ვენა. აუწერიათ სერბიაში: 78 ძველი რადიკალი, 36 ახალგაზდა რადიკალი, 8 რადიკალ-დისიდენტი, 32 ნაციონალისტ-პროგრესისტი, 2 სოციალ-დემოკრატი, 10 ხელმეორედ უყრიან კენჭსა.

ოსმალეთი და რუსეთი.

რომი. „ტრიბუნა“ ურმიის საკითხის გამო სწერს: ოსმალეთი ძალიან მედიდურად იქცევა და საქმეს ართულებს. რუსეთიც თავის საქმისათვის იღწვის. ოსმალეთმა ამას წინად რუსეთს აცნობა საზღვარს მოვა შორეჯარიო. თანაც ტრაპიზონსა და არზრუმს აუარებელი სამხედრო ნიეთები გადაგზავნა, არზრუმიდან 15 ათასი ჯარისკაცი ურმიას მიუახლოვდა, მიდამოებს ამაგრებს. საქმე ცუდად არის. ორსავე სახელმწიფოს ჯარი ერთმანეთის მახლობლად არის დაბანაკებული. ასეთი საქციელი საზოგადოდ სჩვევია ოსმალეთსა და მის სახელმწიფო მოღვაწეებსაო.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

სახალხო სახლი. 5 აპრილს გ. სუნდუკიანცის ხსოვნის პატივსაცემლად ქართულ წარმოდგენის მმართველი წრე მსახიობ **ვ. გამრეკელიძის** მონაწილეობით წარმოადგენენ **„პეპო“-ს** და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“—?.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კუჩდღელაშვილი.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲒᲘᲡᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში დამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში დამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, —III კლ. დამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, I—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 1 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან:) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. დამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. დამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 53.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიროო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ

უბნები: 1, 2—**ვ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და **სადაც-კი** ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, № 4, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თბთეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.)

ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲨᲐᲕ-ᲖᲦᲕᲐᲖᲔ.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუადამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაეკლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუადამეს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲐᲚ. ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ᲔᲛᲘᲚ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
ᲓᲘᲚᲘᲗ:

„606“—11—12 ს. ᲨᲔᲨᲮᲐᲙᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ᲡᲐᲚᲐᲒᲠᲝᲗᲘ:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.4.1)

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ᲗᲝᲛᲐ Დ. ᲯᲐᲜᲨᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიდებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვაბრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—20)

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲛᲝᲒᲒᲕᲓᲘᲡ:

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ქვირითი ᲙᲐ Მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსუფლი თევზი

(წ.—1131—30)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲛᲘᲙᲘᲚᲝᲗ ᲡᲐᲥᲘᲠᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ
მუქმავის საწოლებით:

მიხეილის ქუჩა, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ავადმყოფებს.

ᲐᲚᲐᲯᲐᲜᲝᲕᲘ—საშარდე ორგანოთა, ათაშანგანი და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ᲒᲘ. ᲒᲘ. ᲕᲜᲣᲙᲝᲕᲘ—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ᲔᲖᲘᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ Ი. Ნ.—შინაგან, ნერვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დღის 11—12 საათამდე.

ᲙᲘᲛᲝᲜᲢᲘ Გ. Ა.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

ᲛᲐᲒᲐᲙᲘᲐᲜᲘ Გ. Ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ᲐᲜᲓ. Დ. ᲙᲐᲚᲛᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ-ᲕᲜᲣᲙᲝᲕᲘᲡᲐ—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს.

სამკურნალოში ელექტრონიტი და მასაჟეთ სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყველანს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და ონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ „606“-ᲘᲗ.

(100—1615—49)

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲘᲐᲠᲝ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორსაწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საკმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ.**

(თ. 1646.41) **მიკირტუმოვი.**

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ვერმოთ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) საღობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწერილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—19)

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲛᲝᲒᲒᲕᲓᲘᲡ:

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ქვირითი ᲙᲐ Მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსუფლი თევზი

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ

ᲥᲛ. ᲥᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 5.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.

1912 Წ. ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲓᲐᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲣᲛᲐᲯᲝᲕᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“-ᲖᲔ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-●●—

—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Голованинскій просп. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრიფონ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვასო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კოსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—627—51 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოს-ძის ძე თუმანიშვილი.**

თ. მთავრიშვილის ᲒᲐ ᲐᲛᲮ. ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ (ქუთაისში) შეუდგა **ᲙᲘᲢᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ** თხზულ